

The 4th Teacher Conference “**University and School**” (Problems of Teaching and Education)

**The exchange of Good Practices**

17 October, 2015, Materials

## საგანმანათლებლო პროექტი: „გზა ჯანმრთელობისკენ“

ხათუნა ფირცხალაშვილი

ქუთაისის 23-ე საჯარო სკოლის დაწყებითი საფეხურის საუკეთესო შედეგების მქონე სერტიფიცირებული პედაგოგი; საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტის (G-PriEd) წიგნიერების მიმართულების ტრენერი

### რეზიუმე

პრობლემა ეხება საქართველოში მცხოვრებ უამრავ ოჯახს, კონკრეტულად- ბავშვების ჯანმრთელობას. მოსწავლეებს დარღვეული აქვთ კვების რეჟიმი და ხშირად, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების ნაცვლად მიირთმევენ უხარისხო, ჯანმრთელობისათვის მავნე ნივთიერებების შემცველ პროდუქტებს.

პროექტის თემის არჩევა განპირობებულია მოსწავლეთა ყოველდღიურ ცხოვრებასთან კავშირით. ამავე დროს, პრობლემის გადაჭრა ემსახურება დისციპლინათმორისი გამოცდილების, ცოდნის გამთლიანებას, 21-ე საუკუნის უნარების განვითარებას, ისტ-ის ინტეგრირებას სასწავლო პროცესთან.

პროექტი მოიცავს სკოლის დაწყებითი საფეხურის მოსწავლეების, თემის, მოსწავლეთა მშობლების არეალს.

პროექტის მიზანი იყო, ამაღლებინათ ცნობიერება ჯანსაღი ცხოვრების წესის მნიშვნელობაზე, გამოემუშავებინათ პრაქტიკულ ქმედებათა უნარ-ჩვევა ამ მიმართულებით და გამხდარიყვნენ ჯანსაღი ცხოვრების წესის დამცველები, რაც საბოლოოდ, გარემოს მდგრადი განვითარების პრინციპების პოპულარიზაციამდე მიგვიყვანს.

პროექტი გასცდა კლასის ფარგლებს, მოსწავლეებმა პოზიტიური წვლილი შეიტანეს სამოქალაქო საზოგადოებაში. პრობლემის მოგვარების მიზნით, კვლევებისა და აღმოჩენების გზით, მონაცემთა ანალიზის საფუძველზე შეისწავლეს, თუ რა სიტუაციაა ჯანსაღი კვების მხრივ თანატოლებში, მოახდინეს ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია, რითაც სარგებელი მიიღო საზოგადოებამ.

პროექტის შედეგად შეძენილ უნარ-ჩვევებს მოსწავლეები გამოიყენებენ ყოველდღიურ ცხოვრებაში, განარჩევენ ერთმანეთისგან ჯანმრთელობისთვის საზიანო და სასარგებლო პროდუქტებს, მიჰყვებიან ჯანსაღი ცხოვრების წესს, რაც საწინდარი გახდება მათი ჯანმრთელობისა.

The 4th Teacher Conference “**University and School**” (Problems of Teaching and Education)

**The exchange of Good Practices**

17 October, 2015, Materials

*მთელი პროექტის განმავლობაში მოსწავლეები პრობლემაზე იყვნენ ორიენტირებულები. გამოიმუშავეს 21-ე საუკუნეში აქტუალური მაღალი დონის სააზროვნო უნარები. ისტ-ის გამოყენებამ კი ხელი შეუწყო მოსწავლეებს, გამხდარიყვნენ ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების კომპეტენტური მომხმარებლები. შეძლეს ელექტრონული ციფრული ობიექტების შექმნა და ინტერნეტსივრცეში განთავსება.*

*საკვანძო სიტყვები: პროექტი, კვლევა, ანალიზი, ისტ, ესგ, პრეზენტაცია, კომუნიკაცია, თემი, თანამშრომლობა, მოტივაცია, ინტერაქტიულობა, ეთიკა, საავტორო უფლებები.*

დროსთან ერთად იცვლება თაობებიც და მათი მოთხოვნილებებიც, ამიტომ აუცილებელი ხდება სწავლების ინოვაციური მეთოდების დანერგვა, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსწავლეებში 21-ე საუკუნის კომპეტენციების გამოიმუშავებას.

პროექტული სწავლების მეშვეობით ცხოვრებისეული, რეალური კონტექსტისა და ტექნოლოგიების შემოტანა სასწავლო პროცესში, საშუალებას აძლევს მოსწავლეებს გახდნენ დამოუკიდებელი პიროვნებები და კრიტიკულად მოაზროვნეები. მოსწავლეებს უნდა შეეძლოთ სკოლაში მიღებული ცოდნის გამოყენება სკოლის გარეთ - სახლში, თემში და სხვა. ცოდნის ტრანსფერის უნარი ყოველდღიურ გარემოში არის ძალიან მნიშვნელოვანი. კვლევები აჩვენებს, რომ ეს უნარი ვითარდება მაშინ, როცა სწავლისას გამოიყენება რეალური ცხოვრებისეული კონტექსტი. საჭიროა საგნის იდეების დაკავშირება სხვა საგნებთან და ყოველდღიურ ცხოვრებასთან. ამის ერთ-ერთი გზაა - პროექტული სწავლება.

პროექტით სწავლება იწვევს მოსწავლეთა მოტივირებას და ზრდის მათ პასუხიმგებლობას. ისინი ხალისით ასრულებენ სამუშაოებს, მაშინაც კი, თუ მათი შესრულება ხანგრძლივ ძალისხმევას მოითხოვს.

წარმოგიდგინთ ჩემს მიერ 2014 სასწ. წელს დაგეგმილ და განხორციელებულ პროექტს „გზა ჯანმრთელობისკენ“, რომლის ფარგლებშიც მოხდა **21-ე საუკუნის უნარების** გავარჯიშება, **გამჭოლი პრიორიტეტული კომპეტენციების** დაუფლება, ცოდნის ტრანსფერი, მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს პროექტში **არაფორმალური განათლების** კომპონენტს.

ზემოთ ხსენებული პროექტი დაიგეგმა მე-4 კლასელი მოსწავლეებისათვის, მაგრამ მოგვიანებით უფრო მეტი მონაწილე შემოგვიერთდა.

**პროექტის აქტუალობა:** საქართველოში მცხოვრები ბევრი ოჯახის პრობლემა ჯანსაღი კვებაა. ბავშვი ქვეყნის მომავალია და მის ჯანსაღ აღზრდას დიდი მნიშვნელობა აქვს.

დღესდღეობით ჯანსაღ კვებას ძალიან ცოტა ყურადღება ეთმობა. მოსწავლეებს დარღვეული აქვთ კვების რეჟიმი და ხშირად ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების

The 4th Teacher Conference “**University and School**” (Problems of Teaching and Education)

**The exchange of Good Practices**

17 October, 2015, Materials

ნაცვლად მიერთებულ უხარისხო, ჯანმრთელობისათვის მავნე ნივთიერებების შემცველ პროდუქტებს.

არასწორი კვების მიზეზები კომპლექსურია და ურთიერთდაკავშირებული, იგივე შეიძლება ითქვას ამ პრობლემის მოგვარების გზებზეც. ყველა ადამიანს სურს იკვებოს კარგად, იყოს ჯანმრთელი და ჰყავდეს ჯანმრთელი და ძლიერი შვილები. ეს კი უკვე ძლიერი მოტივაციაა საიმისოდ, რომ ადამიანი ჯანმრთელი კვების წესებით დაინტერესდეს. (ჯანსაღი კვების პროგრამა დაწყებით კლასებში; 2008 წ-ტ 1: ქრესტომათია; გვ 56). ამიტომ მნიშვნელოვნად მივიჩნიე მოსწავლეთა მშობლების ჩართვა სასწავლო პროექტში.

გარდა ამისა დიდი მნიშვნელობა აქვს სუფთა გარემოს შენარჩუნებას, ჰიგიენის წესების დაცვას, რაც კიდევ ერთი დიდი პრობლემაა.

საზოგადოებისთვის ნაკლებადაა ხელმისაწვდომი აღნიშნულ თემასთან დაკავშირებული ლიტერატურა.

მოსწავლეებში დეფიციტია სოციალური თუ საკომუნიკაციო უნარ-ჩვევებისა; შეუძლიათ ინფორმაციის მოძიება, თუმცა უჭირთ მისი საჭიროებისამებრ გამოყენება. ამ ეტაპზე ჯერ კიდევ არა აქვთ განვითარებული კვლევა-ძიების, ინფორმაციის დახარისხების, თვისობრივ და რაოდენობრივ მონაცემთა ინტერპრეტაციისა და ელემენტარული ანალიზის უნარები. აქტიურად იძიებენ ინფორმაციას ინტერნეტში, მაგრამ არ არიან გარკვეული ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და გამოყენების ეთიკურ/იურიდიულ საკითხებში.

პროექტის თემის არჩევა განპირობებულია მოსწავლეთა ყოველდღიურ ცხოვრებასთან კავშირით. ამავე დროს, პრობლემის გადაჭრა ემსახურება დისციპლინათმორისი გამოცდილების, ცოდნის გამთლიანებას, 21-ე საუკუნის უნარების განვითარებას.

**პროექტის მიზანი:** მოსწავლეებმა გააცნობიერონ ჯანსაღი ცხოვრების წესის მნიშვნელობა ჯანმრთელობისათვის, მოახდინონ ჯანსაღი კვების პოპულარიზაცია თანატოლებში და საზოგადოებაში; გახდნენ ჯანსაღი ცხოვრების წესის დამცველები. მოხდეს შემოქმედებითი, კრიტიკული, საკომუნიკაციო და სოციალური უნარების განვითარების ხელშეწყობა; შეძლონ ინფორმაციის ეფექტურად და ეფექტიანად მოპოვება, მონაცემთა შეგროვება და ანალიზი, დასკვნების გამოტანა, კრიტიკული და კომპეტენტური შეფასება. გაიღრმავონ ტექნოლოგიის გამოყენების უნარ-ჩვევები, როგორც ინფორმაციის კვლევის, ორგანიზების, შეფასებისა და კომუნიკაციის საშუალების. გაერკვნენ ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და გამოყენების ეთიკურ/იურიდიულ საკითხებში.

**განხორციელებული ღონისძიებები:**

- პროექტის დაწყებამდე ვიკვლევ მოსწავლეების საბაზისო ცოდნას საკითხთან დაკავშირებით და ვადგენ მათ საჭიროებებს, რისთვისაც ვიყენებ სქემას [„ვიცი-მინდა](#)

The 4th Teacher Conference “**University and School**” (Problems of Teaching and Education)

**The exchange of Good Practices**

17 October, 2015, Materials

ვიცოდე-ვისწავლე“. აქვე დავურიგებ ილუსტრირებულ კითხვარს #1 - გამოიცანით, რომელია ჯანსაღი და არაჯანსაღი საკვები?

- ვსვამ **ზოგად შეკითხვას**: რა რისკები არსებობს ჯანმრთელობისთვის? და თემატურ შეკითხვას: რამდენად მნიშვნელოვანია სწორი კვება ჩვენი ჯანმრთელობისათვის?
- **მინი-ლექცია**: „საავტორო უფლებები“
- მოსწავლეები იყოფიან **5 ჯგუფად**, ჯგუფების გადანაწილება მოხდება ინტერესის სფეროებისა და შესაძლებლობების მიხედვით. თითოეული ჯგუფი მოამზადებს საპრეზენტაციო თემას :

1-ლი ჯგუფი – ჯანსაღი კვება; მე-2 ჯგუფი – საკვების შენახვა, მალფუჭებადი საკვები, მე-3 ჯგუფი – კვების პირამიდა; მე-4 ჯგუფი – კვების ჰიგიენა; მე-5 ჯგუფი – სუნთქვის ჰიგიენა.

- ელექტრონული **ციფრული ობიექტების** შექმნა და მათი გამოყენება  
<http://LearningApps.org/display?v=posf6bw1n01> „გამოიცანით,  
<http://LearningApps.org/display?v=p2u3fiej201> ვიქტორინა,  
<http://LearningApps.org/display?v=pycmamt3j01> კროსვორდი

**კვლევა**

- გამოკითხვა **საკუთარ კლასში**-თანმიმდევრულად ჩამოწერენ, რა საკვები პროდუქტები მიიღეს გუშინ მთელი დღის მანძილზე. რომელი საკვები უყვართ/არ უყვართ? რატომ? გაარკვევენ, რომელი ჯგუფის პროდუქტი არ აღმოჩნდა მათ სიაში. ამის შემდეგ ვთხოვ, შეაფასონ თავიანთი საუზმე შეფასების კითხვარით #2
- გამოკითხვა თანატოლებში, თემში(კითხვარი #3) სხვადასხვა თაობის წარმომადგენლებში.
- **მშობელთა** მიერ კითხვარის შევსება ( კითხვარი #4 ). (ჯანსაღი კვების პროგრამა დაწყებით კლასებში; 2008 წ-ტ 1: ქრესტომათია; გვ 213-215) შეხვედრა მათთან და ჯანმრთელი კვებისა და ზოგადად ჯანსაღი ცხოვრების წესის მნიშვნელობაზე სასწავლო-შემეცნებითი ხასიათის შეხვედრები, კონსულტაციები
- მოძიებული ინფორმაციის დახარისხება და გაანალიზება, **მონაცემთა ანალიზი** და შედეგების გადმოცემა დიაგრამებით, დასკვნების გაკეთება - კითხვარი #5
- დასკვნების საფუძველზე მოსწავლეები შეიმუშავენ რეკომენდაციებს და მოახდენენ თემში ჯანსაღი კვების პოპულარიზაციას. ამ მიზნით ჯგუფები შექმნიან ელექტრონულ ბროშურებს და გაზეთებს.

პერიოდულად განვიხილავ პასუხებს შინაარსობრივ კითხვებზე, რათა შევაფასო თემის გააზრების ხარისხი და შესაბამისად წარვმართო სწავლების პროცესი. ვიყენებ

The 4th Teacher Conference “**University and School**” (Problems of Teaching and Education)

**The exchange of Good Practices**

17 October, 2015, Materials

შუალედურ შეფასებას. შეფასების რუბრიკებით ვაფასებ, რამდენად წარმატებით მიმდინარეობს პროექტი.

- **შეხვედრები, საუბრები, ინტერვიუ** ბიოლოგთან, კვების ექსპერტებთან; TV „რიონში“ მოწვეულ კომპეტენტურ პირებთან ინტერვიუ
- **პატარა საკითხავების დამზადება**-თავად დაამზადებენ ხელნაკეთ წიგნებს თავთავიანთი ჯგუფებისთვის მიცემული თემების შესაბამისად(მათ აქვთ გამოცდილება მსგავსი საკითხავების დამზადებისა ქართული ენიდან) და მოაწყობენ კითხვის დღეს-უმცროსკლასელებს წაუკითხავენ მათ მიერ შექმნილ წიგნებს
- **ჯანსაღი კვების რეკლამირება**- ვიდეორგოლის შექმნა-  
<https://www.youtube.com/watch?v=3zfYruPdJDM>
- პროექტის საჯარო პრეზენტაცია
- **კედლის გაზეთისა და პროექტის ამსახველი სტენდის დამზადება**
- **ბლოგის განახლება**  
**შეფასების ინსტრუმენტების მოკლე მონახაზი:**
- პროექტის განმავლობაში გამოვიყენე როგორც შუალედური, ასევე საბოლოო შეფასება. მოსწავლეებს ვაკეთებინებდი დროულ რეფლექსიას.
- ვიყენებდი მასწავლებლის დაკვირვების ფორმას, მოსწავლეთა თვითშეფასებასა და ურთიერთშეფასებას, კონკრეტული ამოცანის განხორციელების შეფასებას მოსწავლეთა მიერ.
- შეფასდა პრეზენტაციის, შემოქმედებითი, ანალიტიკური აზროვნების, თანამშრომლობისა და საკომუნიკაციო უნარები, ინფორმაციის მოპოვება და დამუშავება. ასევე შეფასდა პროექტის განმავლობაში შექმნილი რესურსები. (სლაიდი, ბროშურა, საგაზეთო სტატია, ციფრული ობიექტები)
- პროექტის ბოლოს გამოვიყენე პროექტის შეფასების რუბრიკები. მასწავლებლის თვითშეფასებას, პორტფოლიოს შეფასების რუბრიკა.

**შედეგები:** მოსწავლეებს შეუძლიათ ჯანსაღი და მავნე პროდუქტების ერთმანეთისაგან გარჩევა და ყოველდღიურ ცხოვრებაში ცდილობენ სასარგებლო ნივთიერებების შემცველი საკვების მიღებას; თითქმის აღარ იძენენ ნახევარფაბრიკატებს სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე.

ზრუნავენ სუფთა და ჯანსაღი გარემოს შექმნასა და შენარჩუნებაზე, გააცნობიერეს სპორტის მნიშვნელობა ჯანმრთელობისათვის. კლასის 4 მოსწავლე აქტიურად ჩაერთო კიდევ სპორტში.

The 4th Teacher Conference “**University and School**” (Problems of Teaching and Education)

**The exchange of Good Practices**

17 October, 2015, Materials

გარდა ამისა, შეიძინეს საჭირო უნარები: ისწავლეს გუნდური მუშაობა და საკუთარი საქმიანობის სხვებისთვის გაზიარება. მოხდა საკომუნიკაციო, საპრეზენტაციო და კვლევითი უნარების განვითარების ხელშეწყობა. შექმნა სქემები, დიაგრამები, გამოფენა, სურათები, ვიდეორგოლი, ელექტრონული პრეზენტაციები, ბროშურები და გაზეთები; ელექტრონული სასწავლო ციფრული ობიექტები, ხელნაკეთი წიგნები, განახლდა ბლოგი. (იხ: ბლოგის მისამართი)

<http://pirtskhalashvilikhhatuna.blogspot.com/2015/06/blog-post.html>

- დამოუკიდებლად შეუძლიათ პრობლემურ საკითხთან დაკავშირებით ინფორმაციის მოძიება მცირე კვლევის წარმოება, მონაცემთა შეგროვება და მათი ანალიზის საფუძველზე დასკვნების გაკეთება და რეკომენდაციების გაცემა: **(საინფორმაციო წიგნიერება, კრიტიკული აზროვნება და პრობლემების გადაჭრა)**
- დამოუკიდებლად შეუძლიათ რესურსების შექმნა სხვადასხვა ფორმატში (ბროშურა, გაზეთი, ხელნაკეთი წიგნი) და საჭიროების შემთხვევაში თანატოლებთან გამოცდილების გაზიარება. აქვთ ქსელური ძიების, ტექსტების ელექტრონული დამუშავებისა და ტექსტური შეტყობინების პროგრამების გამოყენების უნარი, გამოუმუშავდათ შემოქმედებითი და ინოვაციური მიდგომები **(ციფრული წიგნიერება)**;
- შეუძლიათ მულტიმედიური ტექსტების აღქმა-გააზრება, გამოყენება და შექმნა, მიღებული ინფორმაციის კრიტიკულად შეფასება **(მედიაწიგნიერება)**
- იცავენ საავტორო უფლებებს მათ მიერ მოპოვებულ ინფორმაციაზე. **(სამოქალაქო კომპეტენცია)**

**დასკვნა:** პროექტული სწავლებით საშუალება მეძლევა სასწავლო აქტივობები დავუკავშირო ავთენტურ და ცხოვრებისულ კონტექსტს, მოსწავლეებს განვუვითარო მაღალი დონის სააზროვნო უნარები და გაგზარდო სასწავლო პროცესში მათი ჩართულობა. ისტ-ის გამოყენება კი ხელს უწყობს მოსწავლეებს, გახდნენ ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების კომპეტენტური მომხმარებლები, განივითარონ ინფორმაციის მოძიების, დამუშავების და შეფასების უნარები, განივითარონ პრობლემების გადაჭრისა და სწორი გადაწყვეტილების მიღების უნარი, კომუნიკაციისა და თანამშრომლობის უნარი, შეძლონ საკუთარი პროდუქტის შექმნა და გამოქვეყნება, შეიტანონ პოზიტიური წვლილი სამოქალაქო საზოგადოებაში, გახდნენ ინფორმირებული და გაცნობიერებული პასუხისმგებლობით აღჭურვილი მოქალაქეები.

---

The 4th Teacher Conference “**University and School**” (Problems of Teaching and Education)

**The exchange of Good Practices**

17 October, 2015, Materials

---

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. ჯანსაღი კვების პროგრამა დაწყებით კლასებში (2008 წ-ტ 1: ქრესტომათია)  
<http://www.tech.caucasus.net/FAO/Nutr-Book-1.pdf>
2. ს. ლობჯანიძე- როგორ დავგეგმოთ და განვახორციელოთ პროექტგაკვეთილი  
(20 აპრილი 2012)  
[http://mastsavlebeli.ge/uploads/portfolio/sofiko\\_lobjanize\\_2.pdf](http://mastsavlebeli.ge/uploads/portfolio/sofiko_lobjanize_2.pdf)
3. მ. ბოჭორიშვილი-როგორ შევადგინოთ საგანმანათლებლო პროექტი -  
გზამკვლევი მასწავლებლებს (11მარტი, 2013წ)  
[http://mastsavlebeli.ge/?action=page&p\\_id=19&id=174](http://mastsavlebeli.ge/?action=page&p_id=19&id=174)